

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №226

2014 წლის 28 ივლისი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლს მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112, 3.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 39² მუხლის:

ა) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. დაუბეგრავი მინიმუმის მიზნისათვის, დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მე-8 გრაფაში („დაკავებული გადასახადი“) ასახული თანხების ჯამი უდარდება შესაბამისი საანგარიშო თვეების გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციაში მითითებულ (დეკლარაციის დანართი „ა“) წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის თანხას; სხვაობის არსებობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია შესაბამისი დამქირავებლის დაქირავებულ პირს უარი უთხრას დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნებაზე. აღნიშნული შედარება არ ეხება იმ გადასახადის გადამხდელებს, რომელთა მიმართ შესადარებელ პერიოდზე მიმდინარეობს/ჩატარებულია საგადასახადო შემოწმება, გაგზავნილია შეტყობინება საგადასახადო შემოწმების შესახებ ან/და ზემოაღნიშნულ თანხებს შორის სხვაობის აღმოფხვრა იწვევს საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებულ საგადასახადო პერიოდზე (პერიოდებზე) გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დეკლარაციით საგადასახადო ვალდებულებების შემცირებას.“;

ბ) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. საგადახდო დავალება მზადდება საგადახდო დავალების მომზადების დღისთვის საგადასახადო ორგანოში არსებული დამქირავებლის მიერ წარდგენილი შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის (მათ შორის დაზუსტებული ინფორმაციის) და პირის საგადასახადო დავალიანების გათვალისწინებით.“.

2. დანართი №II-08⁵ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №II-08⁵“

დეკლარაცია

დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ

დეკლარაციის ტიპი

☐

პირველადი

☐

დაზუსტებული

☐

თანახმა ვარ შემოსავლების სამსახურმა ბანკიდან მიიღოს ინფორმაცია ჩემი საბანკო ანგარიშების შესახებ* (აღნიშნული ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დაუბეგრავი მინიმუმის საკითხთან დაკავშირებით).

ფიზიკური პირის სახელი და გვარი _____



პირადი ნომერი														
---------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

ფიზიკური პირის მისამართი _____

საკონტაქტო მონაცემები: მობილური ტელ:

ელ. ფოსტა _____

დაუბეგრავი მინიმუმის მიღების კალენდარული წელი -----

ბანკის დასახელება _____

ანგარიშის ნომერი

დეკლარირებული თანხა

პირის დავალიანების გათვალისწინებით დაბრუნებას ექვემდებარება

- დეკლარაციაში მითითებული დასაბრუნებელი თანხის ოდენობა შესაძლებელია შეიცვალოს საგადახდო დავალების მომზადების დღისათვის პირის საგადასახადო დავალიანებისა და დამქირავებლის მიერ საგადასახადო ორგანოში შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ წარდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით.

თარიღი: „___“ „_____“ 20 წელი“



* შენიშვნა: აღნიშნული უჯრის შევსება სავალდებულოა. აღნიშნეთ „V“ ნიშნით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

